



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბედგბითი

ბედგბითი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X–XI სს. ეკლესია ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის ჰერეთის ტერიტორიაზე (დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შექის რ-ნის სოფ. ორთა-ზეიზითის მახლობლად). ნაგებობა წარმოადგენს ე. წ. „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ვარიანტს. გარედან იგი მთლიანად სწორ რიგებად დალაგებული შირიმის თლილი კვადრებით არის ამოყვანილი; შიგნითა კედლები წვრილი ნატეხი ქვითაა ნაგები. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები (თალები, კამარები) გამოყვანილია შირიმით. აფსიდაში ორი ნიშია მოწყობილი. ნიშები იატაკიდან იწყება. 3 საბჯენი თაღითა და აფსიდის კონქით შემოფარგლულ გუმბათქვეშა კვადრატს აქვს სწორკუთხა კვეთის თაღების ორი და ლილვის ფორმის მესამე საფეხური, რ-იც ენასკვება გუმბათქვეშა სალტის ლილვს. გუმბათქვეშა კვადრატზე აღმართულია დაახლოებით ორჯერ ნაკლები დიამეტრის მქონე გუმბათის ყელი. თავდაპირველად ეკლესია მოხატული ყოფილა. დას. მკლავის ჩრდ. კედელზე შემორჩენილია მხატვრობის მცირე ფრაგმენტი, XIX ს. 80-იან წლებში აქ შესაძლებელი იყო მთავრული ასოების გარჩევა. ამ თავისებური ეკლესიის პარალელები გვხვდება X–XI სს. მიჯნის ტაო-კლარჯეთისა და თრიალეთის ძეგლებში, რითაც განისაზღვრება მისი აგების თარიღი. შენობის ჩრდ. მკლავზე მიშენებულია მცირე კაპელა – საძვალე.

ლიტ.: Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

გ. მარჯანიშვილი
